# განმარტებითი ბარათი
## საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის სადისციპლინო პალატად ჩამოყალიბებას, რაც გამომდინარეობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტიდან და მიზნად ისახავს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმეობის საკითხების სრულყოფას.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფასთან.